# ერი

№ 4

წელიწადი პირველი

1913

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:

| | |
|---|---|
| წლიურათ | 7 მანეთი |
| ნახევარი წლით | 4 მანეთი |
| თვიურათ | 4 აბაზი |

ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

სამშაბათი, 5 ნოემბერი.

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ЕРИ“. Ивановская, д. Чиладзе.

ტელეფონი № 149.



## 1913 წელი.

ქუთაისში 1 ნოემბრიდან გამოდის ყოველდღიური საპოლიტიკო, სალიტერატურო და ეკონომიური გაზეთი

## „ე რ ი“

| გაზეთის ფასი: | | |
|---|---|---|
| ერთი წლით | . . . | 7 მანეთი, |
| ნახევარი წლით | . . . | 4 მანეთი. |
| ერთი თვით. | . . . | 4 აბაზი. |
| და ცალკე ნუმრის | . . | 1 შაური, |

წლიური ხელისმომწერთ გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელისმოწერის დროს სამი მანეთი, დანარჩენიც ნაწილ ნაწილათ. სოფლის მასწავლებლებს გაზეთი დაეთმობათ წელიწადში 5 მანეთად.

მისამართი: Кутаисъ—редак. газ. „Эри“. Ивановская, д. В. Чиладзе.

ფული და ყოველივე ანგარიში აუცილებლათ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ, Кантора газ. „Ери“.



## ახლათ გამოშვებული პაპიროზები „დ ე ლ ი - ბ ა ზ“

**10 ცალი 6 კაპ. 25 ცალი 3 შ.** იყიდება ყველგან.

პაპიროზები კეთდება გამოჩენილი წვრილფურცლიანი ნამდვილი თათრული თამბაქოსაგან, რომელსაც შესამჩნევი არომატი და სასიამოვნო გემო აქვს.

თუთუნის ქარხანა **„ბინიატ-ოღლისა“** ბათუმში კომაროვის ქუჩა, საკუთ. სახლი.



## ქ უ თ ა ი ს ი

პირველი ნოემბრიდან დადიანის ქუჩაზე საკუთარ სახლში იხსნება

## ქიმიურ-ბაკტერიოლოგიური ლაბორატორია

პ რ ო ფ ე ს ო რ ი ს

## პ. ს. ჩინჩალაძისა.

ვღებულობ ანალიზებს! **შარდისას, სისხლისას, ნახველისას, თესლისას, კუჭის სითხისას, ქალის რძისასა და სხვა.**

ბაკტერიოლოგიური გამორკვევა დიფტერიის ბაცილებისა.

ლაბორატორიიდან ეძლევათ ბატ. აქიმებს ტამპონები ყელში მასალის ამოსაღებათ.



## ქ უ თ ა ი ს ი

პირველი კერძო სამკურნალო სპეციალისტი აქიმებით.

## მუდმივი საწოლებით

### თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.

**ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:**

დ ი ლ ი თ.

| | |
|---|---|
| დ. ი. ჯაფარიძე—ყელის, ცხვირის, ყურისა და შინაგ. . . . . | 8—10 |
| გ. ს. ნადირაძე—შინაგანი და ბავშის . . . . . . | 10—12 |
| ა. ა. რელიგიონი—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო . . . . . | 11—12 |
| მ. დ. ბეთანოვი—კანის, ათაშანგი, ვენერ. . . . . . | 12—2 |
| გ. ა. ჭოლოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ. . . . . | 12½ 2 |

ს ა ღ ა მ ო თ.

| | |
|---|---|
| გ. დ. ქორქაშვილი—თვალის . . . . . . . . | 4½—5½ |
| გ. ა. ჭოლოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ. . . . . | 5½—6½ |

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, აპერაცია და კონსულტაცია მორიგებით 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. აქიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი 140 №

სამკურნალოს დირექტორი—გ. ა. ჭოლოშვილი. წ. 2



## მევენახეთა საყურადღებოთ!

1913 წლის ღვინის მოსავლს თითქმის ნახევარზე მეტი დააკლდა გოლვების, ცუდი ადაპტაციისა და რუპესტრის დიუ ლო-ს ხმარების გამო. ამერიკული ვაზის სანერგე **„კლდ ყლურული“** ქუთაისში ერთადერთი სანერგე, რომელიც ამყნობს ხსვადასხვა ვაზზე ყველა ნაირი ნიადაგის მიხედვით შესაფერი ჯიშის ვაზებს. დამზადებული აქვს გასასყიდათ 1913—14 წლ. 35,000 ცოლიკოური, 40,000 კრახუნა, 28,000 ციცკა, 12,000 ანდასაული, 10,000 მწვანე, 32,000 რქაწითელი, 12,000 მაღლობლიშვილის, 8000 ოცხანური, 35,000 საფერავი, 25,000 ალიგოტე, 8000 რისლინგი, 10,000 პინო, 25,000 სემილიონი 42,000 კაბერნე, 20,000 ფოლ—ბლანში, 28,000 გამე თეთრი და შავი და 80,0000-ზე მეტი სხვადასხვა საუკეთესო საჭმელი ჯიშის ვაზი „ლო“-ზე დამყნილი, 3309 101—14, 1202 420 A. ფასი საღვინე ვაზებისა 65 მან. 1000 და საჭმელისა—80 მან. კანტორა იმყოფება მისეილის ქუჩაზე მმ. გოკიელის სახლში **ვ. ტიეგო.**



## პირდაპირ ნახევარ ფასათ იყიდება!

ახლათ მიღებული საქონლები პირველი ღირსების, რუსეთისა და საზღვარგარეთის საუკეთესო ქარხნებისა და უკანასკნელი მოდის. გაყიდვა დაიწყება დღეიდან მოკლე ვადით ქ. ქუთაისში ბულვარის პირდაპირ, ძმ. ოცხელების შენობაში, ახვლედიანის მაღაზიის უკანა განყოფილებაში, **სადაც იყიდება შემდეგი ახლათ მიღებული საქონლები:** კაცის ყოველნაირი მშვენიერი კასტიუმი, 5 მან. დაიწყება ფასი და ამას ზევით, რა ფასიანიც ესურვებათ; კაცის, ქალისა და ბავშების ყოველნაირი პალტოები ზამთრისათვის, საშემოდგომო და საზაფხულო, კაცის შარვლები და პიჯაკები, ფეხსაცმელები ქალის, კაცისა და ბავშვის საუკეთესო ფირმების მრავალგვარი, ბეწვის მუფთები ქუდები და შალები ლაზლის მრავალგვარი, აბრეშუმის იუბკები დიდი ასარჩევი, შალის კაბის ქვედა წელები, ზედაწელები და ზედაწელის მატერიები ნაჭრობით: კალოშები, კაცის ქალის და ბავშების, რედიკულები, ალბომები, სარკეები და ქალის და კაცის, ქამრები და საქამრე რეზინები, ყოველნაირი რეზინა შემოსაჭერისათვის და აგრეთვე მზა შემოსაჭერი ქალთა და ბავშთათვის. კორსეტები და სხვა. ამასთანავე მოვახსენებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ

ახვლედიანის მაღაზიაში არის მიღებული დიდძალი ყოველნაირი ახალმოდის საქონელი და მზა ტანისამოსი, ფეხსაცმელი კაცის, ქალის და ყმაწვილების და ასეთებს **ვღებულობთ ყოველდღე. ფასები ხელმისაწდომია და უვაჭროთ.**

პატივისცემით ა. ახვლედიანი. № 3.



ვინც თუთუნს ეწევა, ვსთხოვთ, მიაქციოს ყურადღება ახლათ გამოსულ პაპიროზებს

**პ ა რ ო ს ი** { 25 ცალი 3 შ. / 10 — 6 კ. } იყიდება როგორც სხვა ქალაქებში ისე ქუთაისშიც.

პაპიროსები საუკეთესო ხარისხის თათრული თუთუნისაა, სასიამო სუნითა და საუცხოო გემოვნებით.

თუთუნის ქარხანა **ძ მ ა თ ა ს ე ი ლ ა ნ ო ვ ე ბ ი ს ა.** თ ფ ი ლ ი ს შ ი.



**ა ქ ი მ ი ი. ჩარექოვი** იღებს **კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს ახალ ბინაზე.** მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს აქიმი საავათმყოფოშია. მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.

მასაჟით სამკურნალო კაბინეტი.

**მ. გალანჩივაძისამ**

კვლავ განაახლა ავათმყოფების მიღება ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: **მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებსა** და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას, აგრეთვე ვუცრი ყვავილსაც. გენერლის ქუჩა, აქიმის ს. ლორთქიფანიძის სახლი. თ.

**ა ქ ი მ ი გ. ა. მეიფარიანი.** ღებულობს შინაგანი, ბავშებისა და ვენერიულ ავათმყოფებს. დილის 9—12 საათ, და საღამოს 5—7 საათ, თფილისის ქუჩა, საკუთარი სახლი № 30 ტელეფონი № 150. თ.

**ღაბა ჩხესცყალონი**

**აქიმი ლ. დ. ნაზაროვი**

მიიღებს ავათმყოფებს: შინაგანის და ბავშთა, პარასკევსა და კვირას დილის 9—1 საათამდი. თედორე არდიშვილის სახლი, რკ.-გზ. სადგურის პირდაპირ.

**ა ქ ი მ ი კ. თ. ტყეშელაშვილი.** ღებულობს ავათმყოფებს (**შინაგანი, ვენერიული, კანის**) ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში. თ.

**აქიმმა ბ. ა. მირაქოვმა** დროებით რუსეთში წასვლის გამო შეწყვიტა ავათმყოფების მიღება.

**აქიმი დ. ჯაფარიძე** იღებს შინაგანის, ბავშების, აგრეთვე ყელის, ცხვირისა და ყურის სნეულებით ავათმყოფებს. თფილისის ქუჩა სახლი ნიჟარაძისა.

**აქიმი ვ. ა. ნემსაძე** ღებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშუადღევის 3—6 საათ. თფილისის ქუჩა, ჯორჯიკიას სახლი. თ.


## „ჯ ვ ა რ ს ა ც ვ, ჯვარს აცვ ეგე!“

იხ. გაზ. „ერი“-ს მე-3 №

1900-ში და შემდეგში ილია ავათ გახდა. რედაქციის მართვა-გამგეობა მიატოვა. პოლემიკაც შესწყდა. „პროტესტები“ თავისთავათ მოისპო.

დადგა 1905 წელი ხანა ბედნიერებისა, ხანა ხალხის გამოღვიძებისა, ერთი უდიდებულესი ხანა, რომელიც კი იცის მსოფლიო ისტორიამ; დამარცხდა საუკუნოთ ერთი უსასტიკესი და უსაშინელესი რეჟიმი, შეირყა კირთები ძველის ცხოვრებისა და ხელახლათ გაიშალა დროშა ყოველი ერთა ცხოვრების უფლების დაკმაყოფილებისა, შრომის გათავისუფლებისა ყოველგვარი ბორკილისაგან, მიწის ამ შრომის ქვაკუთხედის განსაზოგადოებისა, ფართო პოლიტიკური და სოციალური იდეალები წამოყენებულ იქნა იმ სახით, როგორც არაოდეს საფრანგეთის რევოლიუციას შემდეგ, და ზოგიერთის მხრით არც მაშინ. ამ საერთო ალტაცების დროს ჩვენ დასელთა ხალხის თითქმის მთელი რევოლუციონური ენერგია მოახმარეს ქართველი ერის ადამიანურ უფლებათა უარყოფს: ქართველი ერის ცხოვრების ძარღვის დამცველთ შუბლზე მიაკრეს ჯაშუშობის, ბატონყმობის მესვეურის, ხალხის მტერის იერლიყი. ჩვენი ისტორია დააფასებს შესაფერისათ მათ მოღვაწეობას ჩვენის ერის კაცურს საზოგადოებრივ უფლებათა ადორძინების ხელის შეშლაში. ამის შესახებ ეხლა ადგილი არა გვაქვს ვილაპარაკოთ.

ეროვნულ იდეალთა პოლიტიკურ დამცველთ ისეთი დიდი პირადობა მიემხრო, როგორც ილია იყო. მან საქვეყნოთ განაცხადა: „ჩვენის ერის ცხოვრების მოსაწესრიგებელი კანონები აქ უნდა იწერებოდესო“. პოლიტიკურათ განუვითარებელ „დასელთა“ ბელადებს ეგონათ, თუ ილია ზნეობრივათ მოკლეს, ამით იმ იდეალსაც მოკლავენ, რომელსაც იგი მთელს თავის სიცოცხლეში ემსახურებოდა, რომელიც პირველათ გარკვეულათ წარმოსთქვა რამდენიმე ათი წლის წინათ. ეს სისტემა მათ ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარი—ეს აზრი შეუგნებლათ გამოსჭვივის ყოველს მათ პოლიტიკურ ბრძოლაში მათ მოპირდაპირეებთან: მოკალი ზნეობრივათ ამა თუ იმ აზრის მატარებელი—აზრიც მოკვდება. ეს მათ მემკვიდრეობით აქვთ ნაანდერძევი და შეთვისებული იმ რეჟიმიდან, რომლის შვილნიც არიან. მართალი იყო ტოკკვილი როცა ამბობდა: „იაკობინელების ფსიხოლოგიური ნაქვთი ისეთი იყო, როგორც აბსოლუტისტების, მხოლოდ სხვა სამოსში იყო გამოხვეულიო“. მართლაც ისეთი რეჟიმი, როგორიც რუსეთის ძველი რეჟიმი იყო, ტყვილათ არ ჩაივლის ხოლმე. იგი საუკუნო კვალსა და დაღს ასვამს მისგან აღზრდილებს, თუგინდ მისი სისხლის მსმელებიც იყონ ეს აღზრდილები. ძველი რეჟიმი ამბობს: მოკალი ფიზიკურათ ამა თუ იმ აზრის მატარებელი, მოკვდება ეს აზრიცაო. დასელებიც ამ გზას ადგიან. მათ გულით სწამთ, რომ თუ ფედერალისტები ჯაშუშათ მონათლეს და ამგვარათ ერთგვარი ზნეობრივი მკვლელობა მოახდინეს, ფედერალიზმი როგორც აზრი დაიღუპება; მათ გონიათ, რომ, თუ ფედერალისტების მეთაურები ქურდათ მონათლეს და პროვოკატორებათ, ამით აზრი ფედერალიზმისა მოისპობა. ქურდი და ავაზაკი ყოველ პარტიაში, დასში მოიპოვება, მაგრამ ამით, თუ აზრი წმინდაა და სიცოცხლის მატარებელი, მას არა დაუშავდება რა. იუდამ ქრისტიანობას ვერა დააკლო რა, ის კი არა—ხელი შეუწყო.

ამგვარი სისტემის მიმდევრობა იმათ უფრო ამჩნევიათ რასაკვირველია, ვისაც გონება დაჩლუნგებული აქვთ და ზნეობრივი ყავარჯენი შუაზე გადატეხილი. და აი, დასელთა შორისაც ეს როლი ერგო ბ. ფ. მ. რომლის ფიზიონომიაც ყველამ კარგათ იცის, როგორც მტერმა, ისე მოყვარემ. თვით საუკეთესო „გაზაფხულის“ ხანაში, უკეთესი ველარ გამონახა რა თუ არ ის, რომ ილია ჭავჭავაძის წინ აიმხედრა. ეს წერილი რომელიც ამშვენებს 1905 წლ. მარტის „მოგზაურის“ № 18 აწ უკვე უკვდავი იქნება ქართულ ცხოვრებაში, როგორც იუდა ახალი აღთქმის ისტორიაში.

საკმარისია გავიხსენოთ ორი სამი ადგილი ამ „მწერლობისა“ რომ აშკარათ ალვიაროთ, დავინახოთ, რა გახრწნილებამდი მიიყვანა ჩვენი პრესა იმ ვაჟბატონებმა, რომელნიც ქვეყანას არწმუნებენ ყოველივე რიგიანობისა და მართებულების წყარო ჩვენ ვართო. ილიაო (რასაკვირველია „თავ. ჭავჭავაძეთ“ იხსენიებს, რათა უფრო მკაცრათ მოიხსენიოს) „ადგას სისტემატიურათ ბეზღობის, ცილისწამებისა და ჯაშუშობის გზას“;

ილიას „**სამწუხაროთ ჯაშუშობის რთადი ზედმიწევნით აქვს შესწავლილი და შესისხლხორცებული**“;

ილიამო „**გლეხები დააბეზღა, ჯაშუშობა გასწია, თავისი ნივთიერი ინტერესების გულისთვის**“.

საკმარისია მარტო ამას მივაქციოთ ყურადღება, რომ ბ. ფ. მ. მივიჩნიოთ საეროვნო დანაშაულობის ჩამდენათ. როგორ, რა საბუთით, რა მოსაზრებით უწოდა მან საქართველოს უდიდეს პირადობას ამგვარი სახელები. ნუთუ პრესის თავისუფლება ნებას აძლევს ვისმე ამგვარათ მოექცეს ვისმე, ვინც უნდა იყოს იგი, და მით უფრო ასეთს დიდებულ პირადობას. დალოცვილებმა ერთი განგაში ასტეხეს, როგორ გაუბედა ილიამ, ამ „კინტომ“ „სულით მახინჯმა“ ბ. ნ. ჟ. ცხარე, ჩვეულებრივის კილოთი ბაასი. „პროტესტი“, „პროტესტზე“ აცხვეს და აცხვეს და შემდეგ კი, როცა ფ. მ. ლმზგავსო წერილზე მიდგა საქმე, პრესის თავისუფლებას მიმართეს აპელაციით. ან და ილია კანონს გარეშე იყო უთუოთ დაყენებული, როგორც „დახელოვნებული ჯაშუში“, ხოლო ფ. მ. კი, როგორც ჯაშუშების მდევნელს კი შეუძლია პრესის თავისუფლებით ისე ისარგებლოს, რომ ქართული პრესა საუკუნოთ ლაფში ამოსვაროს. ყოველივე ამას თავი დავანებოთ. ყოველ ბრალდებულს, ყოველ დამნაშავეს საბუთს წარუდგენენ მისის დანაშაულობისას, უტყუარ საფუძველს ბრალდებისას. სად არის საბუთი გვიჩვენეთ, სად არის ის საბუთი, რომელზეც ემყარებიან ბ. მახარაძე და მისი დამქაშნი, რომელნიც ერთს უდიდებულეს პირადობას ასეთ საზიზღარს ბრალსა სდებენ. საბუთი, საბუთი ვლალადებთ ჩვენ? ნაცვლათ ამისა გამოურეკიათ ჯარი და აწერიებენ ლმზგავსო პროტესტებს, რომელიც ვითომ რასმე ამტკიცებს ან რასმე უარყოფს, გარდა—მათის მომჩმახავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსუსურობისას. მაგრამ განა. იესოს ვინმემ დაუმტკიცა ის დანაშაული, რომელიც „ღვდელთმთავრებმა და მწიგნობრებმა“ თავზე მოახვიეს? ეს ისტორიული ტრაგედიაა:

ამოჩემებული პირადობის შესახებ ათასს უცნაურ რასმე მოჩმახვენ და მერე პასუხს აგებიებენ გააფთრებულის ბრბოის წინაშე.

„გამოვიდა პილატე მათდა გარე და რქვა მათ რასა შესმენასა მოიპოვებთ კაცისა ამისა ზედა. მიუგეს და რქვეს უკე თუმცა არა ბოროტის მოქმედი იყოს არამცა მიგეცით შენ ეგე“—აი საბუთი ბრბოისა.

და აი დიდი დანაშაული, რომელიც მას დააკისრეს—თავი ურიათა მოაქვსო.

„შენ ხარ მეუფე ურიათა?“ ეკითხება პილატე „ჰრქვა მას იესო შენ თავით თვისით იტყვი მაგას, ანუ სხვათა გითხრას ჩემთვის?... მეუფება ჩემი არა ამის სოფლისაგანი არს.“

ასეთია ადათი ისტორიულ ცილის მწამებელთა. რასმე წამოროშვენ და მერე დასასაბუთებლათ თავისგან გაბრიყვებულ ბრბოს ააყაყანებენ.

იმ დროში კაცის ჯაშუშათ მონათვლა საკმარისი იყო სიკვდილის განჩინების დასადგენათ. რასაკვირველია, ილია ჭავჭავაძე საკმაოთ დიდი პირადობა იყო მისთვის, რომ ბ. ფ. მ. ერთ სიტყვას ზედ მოყოლოდა ამ ბუმბერაზის ასე ბარბაროსულათ მოკვლა. დათესილმა ღვარძლმა ნაყოფი გამოიღო და ილია ჭავჭავაძე მოკლეს. აღსრულდა: „ჯვარს ეცვინ, ჯვარს ეცვინ“.

რასაკვირველია, მთელ ქართველობას თავზარი დასცა ამ, თითქმის, უმაგალითო მკვლელობამ.

ყველას გული დაუსერა, მგლოვითა და ზარით აივსო მთელი საქართველო, ვისაც კი გონება ქონდა ყველა მწუხარებით შეიმოსა, ვისაც თვალი ქონდა ცრემლებს ღვრიდა, ვისაც გული ქონდა კვნესოდა.

თავისთავათ ცხადი იყო, რომ ყველა თავის თავს, მთელ ერს სთვლიდა დამნაშავეთ ამ საშინელ ბოროტმოქმედებაში. თავისთავათ ცხადია, რომ ყველას ერთი და იგივე როლი არა ქონდა მინიჭებული ამ საეროვნო უბედურებაში, მაგრამ ისეთი მწერალი არ ყოფილა, ისეთი ორატორი არ ყოფილა, რომ მთელს ერს არ ადებდა ამ ცოდვას კისრათ. თანდათან ეს აზრი ირკვეოდა. ერთ საბუთსაც ვერ მიჩვენებთ მასას, რომ ვისმე ეს რომელიმე პარტიისათვის მოეხვიოს კისერზე. თვით უფრო სასტიკი ცხარე სიტყვა ეკუთნის მაღალს ნიჭიერ მეცნიერ სოციოლოგ Bàton ს და მთელი პასსაჟი ამ ბრალდებისა მთელ ერს ადებს კისრათ ამ საშინელ ბოროტმოქმედებას.

„ვაგლახ, ბედშავო საქართველო!“ ამბობს იგი: „ვინ რას იტყვის, რომ გაიგებს ჩვენს ასეთ საქციელს, ვინ რას იტყვის, რომ გაიგებს, ვინ მოვკალით, ვინ დავამარხეთ ჩვენივე ხელით ტყვიით განგმირული! საქართველოს ერი, ლაჩარი, ზნედაცემული, გახრწნილი, უგრძნობელი, რომელმაც მთლათ დაკარგა სახე, აი ამ ერმა თვით მოკლა თავისი საუკეთესო ძე და ყოვლად უგვნონი, და სულელნი დაიტოვა თავისი ცხოვრების წინამძღოლებადაო“ 1). როგორც ხედავთ აქ მთელი ერის შესახებაა ლაპარაკი. ამისთანა მომენტში კაცს შეიძლება ბევრი გაცხარებული სიტყვა წამოსცდეს. ასეთი მომენტები ერის ცხოვრებაში მეტათ ტრაგედიული, მეტათ შემზარავია. ფსიხოლოგიური ნორმალის კალაპოტიდან გამოდის. დღესაც იმ მწარე ხანას მოგონება ტვინს გიყინავს კაცს. ამისთანა ხანაშიაც კი „ისარმა“ დიდი თავდაჭერილობა გამოიჩინა და ბრძოლის სიდინჯით ანგარიში გაუწია საზოგადოებას, რომელიც დამნაშავეს უთითებდა „გონება გვებნევაო“, ამბობს „ისარი“ № 191, „როცა დავფიქრდებით, რომ ილია პოლიტიკურს ნიადაგზე არის მოკლული.. არა გვჯერა, რომ ასეთ გახრწნილებამდი მივედით. გუშინ მთელი ტფილისი ამას იმეორებდა, მაგრამ ჩვენ არ გვინდა დავიჯეროთ, რომ აქ წინადვე განზრახული, დამზადებული და გადაწყვეტილი მკვლელობა იყოს. ეს თავისი ინიციატივით ჩაიდინეს ალბათ, უმეცარმა, გონება დაბნელებულმა ადამინებმა, რომელთათვისაც კაცის მოკვლა არავითარ სიძნელეს არ შეადგენს,—დეგენერატებმა, რომელთაც გამოჩენილი ადამიანის მოკვლა გმირობათაც მიაჩნიათ“...*) არის ერთი წერილი თვით დასელების ორგანო „ჩვენ გზაში“, სადაც ამის მზგავსი რამეა გამოთქმული და მწარე ნაღვლით აღსავსეა. დიახ, იმ ტრაგედიამ, იმ კატასტროფამ ეს მაშინდელ დროში კედლებ გაურღვევლათ მიჩნეული ციხე ძალზე შეანძრია. ბევრი მათგანი ჩაახედა ღრმათ საგანში და ბევრს საბედისწერო კითხვა დაუსვა თვალ წინ. ერთ ამგვართაგანს უთოოთ ერთი წუთით მაინც ღრმათ აღტყინებულთაგანს უნდა ეკუთნოდეს ის წერილი, რომელიც 1907 წ. „ჩვენი გზის“ 4 სეკტემბრის ნუმერში მოქცეული: ჩვენი დღევანდელი ცხოვრება სავსეა ისეთი ფაქტებით, რომელიც მწვავე გრძნობებს იწვევსქდა მწარეთ აფიქრებს თითოეულ ჩვენგანს. ასეთი ფაქტია ი. გ. ჭავჭავაძის მკვლელობაც...

1) ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება გამოცემა „კალმისა“ თფ. 1907 წ. გვ. 182.

*) ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება გამოცემა „კალმისა“ თფილისის 1907 წ. გვ. 20.

დღეს... ყველასათვის ცხადია, რომ, თუ იდეიურათ არა, ფაქტიურათ მაინც კაცის სიცოცხლემ თითქო ფასი და მნიშვნელობა დაკარგა, სამართლიანობამ შურის ძიების ხასიათი მიიღო... სადაც საზოგადოება მოკლებულია ცხოვრებისათვის ბრძოლის კულტურულ საშუალებას, იქ აუცილებლათ თავი უნდა იჩინოს და ფეხვი გაიდგას სისხლის ღვრამ, შურისძიებამ, ანარქიამ, ძალმომრეობამ, ქურდულათა და ავაზაკურათ მოქმედებამ, მეზობლურმა კინკლაობამ, წვრილმანობამ, ქვემძრომობამ და სხვა ანტისოციალურმა მიდრეკილებებმა და თვისებებმა. ამიტომაცაა, რომ თუმცა დღეს ძლიერ ბევრს ვყვირით და ვღაღადებთ სხვადასხვა უფლებაზე, კანონიერებაზე, სიმართლე-პატიოსნებაზე, პიროვნების პატივისცემაზე და ხელშეუხლებლობაზე, ხედავს, რომ კვლა, შურისძიება და სხვა ამგვარი ანტიკულტურული და ანტისოციალური მოვლენები უფრო გარეგნულათ გვაღელვებს. **ჩვენ თითქო სრულიად შევეჩვიეთ იმ აზრს, რომ, რაც ხდება დღეს ჩვენ გარშემო, მომავალი ცხოვრებისათვის ხელსაყრელი და გამოსადეგია. და აი, სწორეთ ეს გარემოება ახასიათებს ჩვენს საზოგადოებას...** (ხაზი ჩვენია) შესაძლოა მკვლელობა მოხდა იმ გამწვავებული ბრძოლის ნიადაგზე, რომელიც მძვინვარობს დღეს მთელ რუსეთში მესაკუთრეთა და უმწეოთ დარჩენილთა შორის. ცხადზე-უცხადესია, რომ ბრძოლის ასეთი საშუალება არათუ მიზანს ვერ აწევს, ის რყვნის, აველურებს და ასუსტებს თვით მას, ვინც იბრძვის ასეთი საშუალებით. ამიტომაც, თუ განსვენებულის მკვლელობა აღნიშნულ ნიადაგზე მოხდა, ჩვენ რაღა დაგვრჩენია იმის მეტი, რომ კვლავინდებურათ ერთჯერ კიდევ დავგმოთ და სასტიკათ გავკიცხოთ ასეთი ველური მოქმედება... ეს ამაშფოთებელი შემთხვევა ერთჯერ კიდევ გვაგონებს, რომ მედგარი ბრძოლა გვმართებს, რათა ახლო მომავალში მოვიპოვოთ საშუალება კულტურული ბრძოლისა და თავიდან ავიცილოთ ბრძოლის ყოველგვარი საშუალება, რომელსაც გადაშენებისკენ მივყავართ. უნდა დაუყონებლივ დღეიდანვე ზომა ვიხმაროთ, რომ ფარდა აეხადოს და ნათელი მოეფინოს იმ კითხვას თუ ვინა და რისთვის, რა მიზნით მოიმოქმედა ეს მკვლელობა; ამას გვავალებს ჩვენ განსვენებულის წარსული... დასასრული არ უჩანს მის არსებობას (ილიასას), როგორც „კაცია ადამიანის“, „გლახის ნაამბობის“, „აჩრდილის“ „განდეგილის“, „ყაჩაღის“ შემოქმედისას?... **და თუ მისი მკვლელები იმას ფიქრობდენ, რომ განსვენებულთან ერთად ისინი კლავდენ დასპობდენ იმასაც, რაც ილია ჭავჭავაძემ თავისი ნაშრომთა და მოღვაწეობით შეიტანა ჩვენი საზოგადოების კულტურულ საგანძურში, ჩვენ ზიზღითა** და მრისხანებით შევყვირებთ ასეთ მტარვალებს: შორს თქვენი მყრტალი ხელი ამ სამკაულისგან. ეს სამკაულიცა და მისი შემომქმედი ილიაც ეკუთნის საზოგადოებას; ისინი არიან ხელთუქმნელი ძეგლი; ან განშორდით მათ, ან და მოდით, თუ ეს თქვენთვის კიდევ შესაძლოა და ისწავლეთ მათგან, რომ შეინანოთ და თქვენც ღირსი გახდეთ კულტურული ცხოვრების“ *) ამ გძელ ციტატში, რომელიც დაწყლულებულის გულისაგან ამოხეთქილია, უფრო ბევრი მწარე სიტყვა გაისმის, ვიდრე „ისრის“, რომელიმე წერილში და ბევრი უფრო მწვავე მათრახი არის პირდაპირ გადაკრული. „ჩვენ თითქო სრულიად შევეჩვიეთ იმ აზრს, რომ რაც ხდება დღეს ჩვენ გარშემო, მომავალი ცხოვრებისათვის ხელსაყრელია და გამოსადეგიო“—ცოტას გვიმტკიცებდენ სხვადასხვა ჰანგზე ბელადები „დასისა“, რომ სწორეთ ამგვარი მოვლენა, როგორც ილიას სიკვდილია, ნაყოფია, რომელიც ყოველთვის სცვივა, როცა ხესა სჭრიან „და თუ მისი მკვლელები იმას ფიქრობდენ, რომ განსვენებულთან ერთად ისინი კლავდენ და სპობდენ, იმასაც, რაც ილია ჭავჭავაძემ თავისი ნიჭითა და მოღვაწეობით“ შექმნაო, ეს ხომ პირდაპირი აღნიშვნაა ბ. ფ. მ ტიპის აზრთა მებრძოლისა. კიდევ უფრო დიდი საყურადღებოა, და კიდევ უფრო დიდმნიშვნელოვანი ფაქტია ი. ევდოშვილის მწარე სიტყვები და ნაწერები. ი. ევდოშვილი, როგორც ვიცით, დასელთა გჯუფს ამოუდგა გვერდში იმ ხანებში და მასთან ერთად მოღვაწეობდა. მაგრამ თავზარდამცემმა ამბავმა სული მოუწამლა, და როგორც პოეტმა, რომელიც ჩვეულებრივ მომაკვდავთა უფრო ნაზათა და ღრმათა გრძნობს, სურათი ტრაგედიისა სავსებით შეიგნო. მისი სიტყვა, მისი ნაწერი აღშფოთებელი ამ შემთხვევაში ყოვლად უტყუარი, ყოვლად შეურყეველი საბუთია და აი, რასა სწერს ის 4 სეკტ. „ისრის“ ნუმერში: „ცხოვრების ნაძირალებო! **თქვენ, რომელნიც არ მალავთ თქვენს ღიმილსა და სიხარულს** (ხაზი ჩვენია) ავაზაკების მიერ განგმირულს ქართველების დიდი მგოსნის გვამთან.

*) იხ. „ილ. ჭ. სიკვდ. და დას.“ გვ. 61—63.

თქვენ, რომელნიც ასე ნასიამოვნები დარჩით მისის სიკვდილით, შეეკითხეთ თქვენს სინიდის: „რა დააშავა ილიამ ისეთი, რომ ის სიკვდილის ღირსი ყოფილიყოს“? „აშკარათა და ხმამაღლა გამოაქვეყნეთ ეს და არა ქუჩის კუთხეებში ფურჩულით. ნუთუ არ გესმისთ, რომ თქვენი ღიმილი ვაშაა ავაზაკებისადმი“!

„მერე უფრო სიდამ ისმის ეს სიხარულის ყიჟინა? **იქიდან, რომელნიც ყველაზე უფრო მეტათ უნდა სწუხდენ,** რომელნიც ყველაზე მეტათ უნდა იყვნენ დაკარგული მგოსნის მადლიერნი!“

აქ ყოვლად უეჭველი ფაქტია ის, რომ იყო მთელი ჯგუფი, საყურადღებო ჯგუფი, რომელსაც ეს მკვლელობა ახარებდა, და იმდენათ, რომ „სიხარულის ყიჟინასაც“ კი სცემდენ. და ეს ჯგუფი ის ჯგუფი იყო, რომელიც ნორმალურ პირობებში ყველაზე მეტათ უნდა შეწუხებულიყო ამ საშინელის, საერო ცოდვის ჩადენით.

ამისთანა ბრალდება არცერთ დასელების მოპირდაპირეს არ წარმოუთქვამს, და რადგან ეს ეკუთნის პირადობას, რომელიც დასელებთან უფრო დაახლოებული იყო, მაშასადამე, რომლის გულწრფელობაშიც ეჭვს ვერავინ შეიტანს—ეს წერილი საუკეთესო საბუთია ამ ტრაგედიის დედაძარღვის გამოსააშკარებლათ.

**ერთი პილატთაგანი.**

(გაგრძელება იქნება).

# დღიური.

ბულგარეთი ოსმალეთთან დიპლომატიურ მოლაპარაკებას გაურბის.

— სათათბიროში დეპუტატთა უპარტიო ჯგუფი შედგა.

— „შრომის ჯგუფს“ უნივერსიტეტში არეულობისა და აკადემიტების პროვოკაციის შესახებ სათათბიროში შეკითხვა შეაქვს.

— საზოგადო მოღვაწეების ერთი ჯგუფი ფიქრობს პალესტინაში კალონიის შეძენას ბეილისის დასასახლებლათ.

— ბეილისი საგასტროლოთ ამერიკაში მიიწვიეს. [illegible] 20 ათასი დოლარი შეაძლიეს. ბეილისმა [illegible] შეუთვალა.

— გაზეთი „დვუგლავი არიოლი“ ებრაელთა დარბევის სასარგებლოთ აგიტაციას ეწევა. ამავე გაზეთმა ითავა იუშჩინსკის ძეგლის ასაგები ფულის შეკრება.

# ახალი ამბავი.

ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა სათანადო მთავრობის წინაშე. რომ ქალაქს მიეცეს ერთდროული დახმარება სახით ათიათასი მანეთი ხოლერისა და სხვა მოსალოდნელი გადამდები სენის წინააღმდეგ საბრძოლათ.

✦ ბათომის ქალაქის გამგეობის მდივანს ივანე მესხს ქუთ. ქალაქის მოურავმა გუშინწინ შემდეგი შინარსის დეპეშა გაუგზავნა:

„განსაკუთრებული სიამოვნებით ვასრულებ საბჭოს მონდობილობას და გულწრფელად გილოცავთ თქვენთვის სამხიარულო დღეს მუნიციპალურ ასპარეზზე მოღვაწეობის ნაყოფიერობას. თქვენი

# ეროვნული საკითხი

**ავსტრო-უნგრეთი.**

**ჩეხია, მორავია და სილეზია.**

აქაური გერმანელები შეადგენენ ავსტრიის მცხოვრებთა ერთ მესამედს. ისინი ცხოვრობენ დუნაის ორსავე ნაპირზე, მათი ბინადრობა გადაიარს სამხრეთით მდინარე დრავას და მდინარეების ეჩისა და ეიზაკის ზემო ნაწილებს, ჩრდილოეთით კი შეიცავს ბოჰემიისა და სილეზიის სამხრეთ ნაწილებს. გერმანელთა ბინადრობა აქ გარს უვლის რგოლივით ჩეხების ბინადრობას. რჩება რგოლშემოუვლებელი მხოლოდ აღმოსავლეთის მხარე გალიციისკენ.

მაშასადამე, ისტორიულ უფლებას რომ დავანებოთ თავი და მარტო ეთნოგრაფიულ ვათარებას ვითხოვოთ ყური, ერთობ ადვილი გადასაწყვეტი იქნება აქ ეროვნული საკითხი. უნდა მიეცეს საკუთარი ავტონომია გერმანელებს იქ, სადაც ისინი ბინადრობენ, ჩეხებს კი იქ, სადაც ამათ აქვთ ბინადრობა.

ცენტრალურმა მთავრობამ ბევრი რამე დაუთმო ჩეხებს.

ტააფეს სამინისტრომ მიანიჭა მათ უპირატესობა ბოჰემიის ლანდტაგის დეპუტატების არჩევანში (1883 წ.), გააფართოვა უფლება ჩეხური ენისა ბოჰემიასა, მორავიასა და სილეზიაში, დააარსა პრაგაში უნივერსიტეტი ჩეხურ ენაზე (1882 წ.) და გაამრავლა ჩეხური საშუალო სასწავლებლების რიცხვი.

ცხადია, ის, რაც მინიჭებული აქვთ ჩეხებს, აღემატება იმას, რასაც მოითხოვენ რუსეთში ებრაელები და ჩვენში „ნარიძე“, ე. ი. რის მინიჭებაც შეუძლია აგრეწოდებულს კულტურულ-ეროვნულ ავტონომიას, მაგრამ ჩეხები მაინც არ არიან კმაყოფილი. უკვე ეს ფაქტი ამტკიცებს, რომ კულტურულ-ეროვნული ავტონომია ვერა სჭრის ეროვნულ საკითხს. 1897 წელს ბადენის სამინისტრომ მიანიჭა მათ უფლება, თითოეულს ოფიციალურ დაწესებულებაში საწარმოოენათ იხმარონ ის ენა, რომელზეც შემოვა საჩივარი ან სხვა რამე განცხადება. გერმანული ენა კი დარჩა მხოლოდ დაწესებულებათა შორის საშვამავლო ენათ. ბოლოს 1906 წელს საყოველთაო საარჩევნო უფლებამ სრულიად უზრუნველყო ჩეხების უპირატესობა ლანდტაგში და, მაშასადამე, ადმინისტრაციაში.

1900 წელს ბოჰემიაში იყო გერმანელი 2,337,013, ჩეხი—3,930,093; მორავიაში გერმანელი 675,492, ჩეხი—1,727,270; სილეზიაში გერმანელი 296,571, ჩეხი—146,265. სულ ამ სამ პროვინციაში იყო გერმანელი 3300076, ჩეხი—5,603,628.

და, ცხადია, შეუძლებელია ქონდესთ უპირატესობა აქ ან ჩეხებს ან გერმანელებს.

აქ ცხოვრობს სულ მთელი ავსტრიის გერმანელთა ერთ მესამედზე მეტი და, რასაკვირველია, მათ არ შეუძლიათ აიტანონ ჩეხთა უპირატესობა და ბატონობა. ამიტომ ისინი ცენტრალისტები არიან: ცენტრისაგან თხოულობენ დახმარებას ჩეხთა წინააღმდეგ.

მეორე მხრით ისიც ცხადია,—ჩეხები რომ შერიგებოდენ, არც ისინი იქნებოდენ ცენტრალისტები. შერიგება კი შესაძლებელი იქნებოდა, თუ კი ჩეხები თავს დაანებებდენ გერმანელთა მიერ დასახელებულ მიწებზე გაბატონების ნატვრას.

ზევით აღვნიშნეთ, რომ ბადენის განკარგულებით (22 აპრ. 1897 წ.) საქმის წარმოება იმ ენაზე უნდა მომხდარიყო, რა ენაზეც შემოიტანდა თხოვნას ან მოხსენებას მთხოვნელი. და ამ ენაზევე უნდა გამოცხადებულიყო განაჩენი. 1 ივლისს 1901 წ. გამოიცა განკარგულება, რომ სახელმწიფო მოხელეს უნდა სცოდნოდა ორივე ენა: გერმანული და ჩეხური. და, რადგან გერმანელი ცოტა იყო, ორივე ენა რომ იცოდა, ჩეხებმა დაიჭირეს ადგილები თითქმის ყველგან.

გერმანელმა დეპუტატებმა გამართეს ამის გამო ობსტრუქცია ავსტრიის რეიხსრატში, ე. ი. ყვირილით, იატაკზე პიუპიტრების კაკუნით, დაუსრულებელი სიტყვებითა და სხ. მოუსპეს მთავრობის მომხრე დეპუტატებს სიტყვის თქმის საშვალება.

ბოლოს მთავრობა იძულებული შეიქნა გაეუქმებია ბადენის განკარგულებანი, მაგრამ დარჩა მაინც 19 აპრილის 1880 წ. განკარგულება ტააფესი: სამოსამართლო და საპოლიტიკო დაწესებულებათ უნდა იხმარონ მთხოვნელთან ამ მომხსენებელთან დამოკიდებულობის დროს ის ენა, რომელზეც არის დაწერილი თხოვნა ან მოხსენება.

მას შემდეგ კი ჩეხთა დეპუტატებმა გამართეს ობსტრუქცია, თუმცა აქვთ თავისი ეროვნული სწავლა-განათლება და უპირატესობა ადმინისტრაციაში, საქალაქო თვითმართველობაში და სხ.

აქიდან ჩანს, რამდენათ შემცდარია ის აზრი, ვითომ ეროვნულ-კულტურულ ავტონომიას შეუძლია გადასჭრას ეროვნული საკითხი.

მერე რა ადვილია ჩეხთა და გერმანელთა შორის გამიჯვნა! გერმანელთა 71 ოლქში ჩეხი არ იქნება არც 5%; მეორე მხრით ჩეხთა 108 ოლქში გერმანელი 5%-ზე ნაკლებია.

დარჩა 42 შერეული ოლქი. მაგრამ მათ შორის ცხრამეტში სჭარბობენ გერმანელები, 23-ში ჩეხები. და მხოლოდ 10 ოლქში აღის ჩეხთა რიცხვი 20%-დი და სხვა ათ ოლქში გერმანელთა რაოდენობა აგრეთვე 20%-მდი.

მაშასადამე, გერმანელთაგან დასახლებულ 90 ოლქს უნდა მიეცეს საკუთარი ავტონომია, ჩეხთა 131 ოლქს კი აგრეთვე თავისი.

ამით გადასწყდებოდა ეროვნული საკითხი და მოისპობოდა უნაყოფო ბრძოლა ჩეხთა და გერმანელთა შორის. ამასვე მოითხოვენ გერმანელი ლიბერალები და სოციალისტები.

მორავიაში 20%-ია გერმანელი. გერმანელთა და ჩეხთა შორის უკვე მოხდა ისეთი შეთანხმება (27 ნოემბერს 1905 წ.), რომელიც უკეთ სჭრის ეროვნულ საკითხს, ვიდრე „მედემისა“ და „ნარიძის“ ეროვნულ კულტურული ავტონომია. გერმანელთა სოფლებში აარსებენ გერმანულ შკოლებსა და ჩეხთა სოფლებში ჩეხურს. გერმანული სასოფლო სამოსწავლო საბჭონი ემორჩილებიან გერმანულსავე საოლქო საბჭოთ, რომელიც ემორჩილება თავისი მხრით უმაღლესს გერმანულ საბჭოს. აგივე უფლება აქვთ ჩეხებსაც. და უმაღლესი სამოსწავლო საბჭო განიყოფება გერმანულსა და ჩეხურ განყოფილებათ; და ერთიმეორის საქმეში არ ერევა.

აგრეთვე პროვინციის სეიმის დეპუტატების არჩევანიც ეროვნულ პრინციპზეა დამყარებული. არის ცალ-ცალკე სია გერმანელთა და ჩეხურ ამრჩეველთა. გერმანელთა უმცირესობა ირჩევს იმდენ დეპუტატს, რამდენიც ხვდება წილათ მათ რაოდენობას. ე. ი. არჩევანი ეროვნულ-პროპორციონალურ პრინციპზეა დამყარებული.

პროვინციის უმაღლესი მართებლობა შესდგება რვა კაცისგან, რომელთა შორის ორია გერმანელი. ეროვნულ-პოლიტიკური საკითხების გადასაწყვეტათ საჭიროა ექვსი ხმა, და გერმანელები რომ არ დაესწრონ კრებას, მაშინ ხსენებული უმაღლესი მართებლობის დადგენილება არ იქნება კანონიერი.

მოხელეთა დანიშვნა ხდება ამგვარათ: სადაც გერმანელები შეადგენენ მცხოვრებთა უმეტესობას, იქ ინიშნებიან გერმანელი მოხელეები, დანარჩენ ადგილებში ჩეხელნი. და ეს პრინციპი არის გატარებული ყველა დაწესებულებაში.

როგორც ხედავთ, ის ეროვნული

პატიოსანი შრომა, რაც ნათლათ მიმდინარეობდა ქუთაისისა და ბათომის საზოგადოებისათვის ქებას არ საჭიროებს."

✦ ქვიტირის საზოგადოების დროებით ვალდებულ გლეხებს სახაზინო პალატა სთხოვს ამ ცამეტი წლის წინათ გაუქმებულს აგრეწოდებულ საკომლო საერობო გადასახადის „ნედოიმკებს, რაც 3618 მ. უდრის. ეს ფული ვალათ ედება 156 კომლ გლეხს—თითოს 23 მან. და 1 აბაზი უწევს. ამ საზოგადოების ვექილებს შვამდგომლობა აღუძრავთ მეფის მოადგილის წინაშე, რომ მან თავისი მხრით იშვამდგომლოს ამ მძიმე გადასახადის პატიების შესახებ.

✦ ნოემბრის 11-ს ქუთაისში თფილისის სამოს. პალატის სესია სხვადასხვა საქმეს გაარჩევს.

✦ „ფერმაში" რიონის პირათ ყოველ კვირადღეს ჭიდაობა იმართება. ასეთი ვარჯიშის წინააღმდეგი არა ვართ, მხოლოდ, საჭიროა, თაოსნებმა მეტი სიფხიზლე გამოიჩინონ და უსიამოვნება ნუ მოყვება ხოლმე ამ ჭიდაობას—ქეიფი, სიმთვრალე და მერე ჩხუბი.

✦ როგორც გადმოგვცეს, სახალხო შკოლების ინსპექტორი ბატ. გასპარიანცი სამსახურს თავს ანებებსო.

✦ სამსახურიდან გადაუყენებიათ ბაღდადის პოლიციის ბოქაული ჯალათოლლი.

✦ ქიათურაში, 11 ნოემბრიდან მრეწველთა საბჭოს სამოქალაქო სასწავლებელში ადგილობრივი სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობა ხსნის მოზდილთათვის საღამოს კურსებს კურსებზე ასწავლიან: ქართულს, რუსულს, ანგარიშსა და სღვთო სჯულს. სწავლა დაიწყება საღამოს 6 საათიდან. მსურველთ შეუძლიათ წინდაწინ ჩაეწერონ კურსებზე მასწავლებელ ივანე წერეთელთან. სწავლა ყველასათვის უფასოა.

✦ აბაშის მომხმარებელმა საზოგადოებამ „ანგარიშმა" სამოქალაქო საჩივარი აღძრა სავაჭრო სახლის „გოკიელის შვილების" წინააღმდეგ. ასეთსავე საჩივარს აღსძრავს ქუთაისის მომხმარებელი საზოგადოების „პროგრესი"-ს გამგეობა იმავე სავაჭროს წინააღმდეგ ზარალის ასადგენათ.

✦ დღეს, ქუთაისში გაიხსნება შინაური ფრინველებისა და ყურდგლების გამოფენა. გამოფენაზე შემდეგი განყოფილებანი იქნებიან: ქათმები, იხვები, ბატები, ინდაურები. ფრინველების მოსაშენებელი ხელსაწყოები: ნიმუშები საქათმეების, ბუდეების, გალიების, ქანდარების, კვერცხებისა და ქათმის გადასაზიდი ყუთები, ხელოვნურათ წიწილების გამოსაჩეკი მანქანა და სხ.

✦ მოსკოვის ქართველთა საზოგადოებას მიუწვევია მ. კავსაძის მომღერალთა გუნდი კონცერტში მონაწილეობის მისაღებათ.

✦ თფილისში ერთს აზნაურთაგანს დეპუტატთა საკრებულოს წინაშე შვამდგომლობა აღუძრავს გიორგი საჯაძის ძეგლის აგების შესახებ.

✦ ორი კვირაა, რაც ქუთაისში დაიკარგა 13 წლის ყმაწვილი იასონ ჯანგავაძე, მეწაღე თევდორაძის შეგირდი.

თფილისში, „შოთა რუსთველის" საზოგადოების წესდებას ამ მოკლე ხანში დაამტკიცებენ.

სია მიუღებელი დეპეშებისა ქუთაისის დეპეშათა კანტორას მიერ 3 ნოემბერს 1913 წ.

1) ყვირილიდან № 6 პავლინასი. 2) მიხაილოვიდან № 11 ლეკვინაძეს. 3) სლეპცკოვიდან № 11 ხატკევიჩს.

## მოწერილი ამბავი.

**ლანჩხუთი** (გურია). რვა წელიწადია მას შემდეგ, რაც მდინარე ორაგვის ღელის ხიდი დანგრეულია და ყურადღებას არავინ აქცევს... არა ერთხელ ყოფილვართ აქ მოწმე უბედური შემთხვევისა. ეს უზარ-მაზარი ქვის ხიდი ჯერ კიდევ დაუსრულებელი ქონდათ მოიჯარადრეთ ბ.ბ. ესეფისა და მიხეილ იმნაძეთ, როდესაც აზვირთებულმა წყალდიდობამ წალეკა. ისინი ვალდებული იყვნენ ხელმეორეთ ეზრუნათ ხიდის გაკეთებისთვის. კანტრაკტი სისრულეში უნდა მოეყვანათ და გადაეცათ საზოგადოების მიერ არჩეული პირებისთვის, მაგრამ მათ ყველა ამას ზურგი უჩვენეს.

## დაუსრულებელი სიმახინჯე.

რუსეთის იმ „ერთადერთი" სოც.-დემოკრატიული პარტიის ჩამონამსხვრევი ჩვენი დასელები, იმ პარტიისა, რომელიც შეერთებისკენ ქვეყანას მოუწოდებს, ხოლო მისი ცამეტი, თოთხმეტი წარმომადგენელი—მეთაურ-ბელადნი ვერ შეერთებულან, დანა სისხლათ არიან გადაკიდებული და გაითიშენ თვით რუსეთის აგრეწოდებულ პარლამენტში, ის ნამსხვრევი დასელები-მეთქი, რომელთაც თავის მშობელს, რ.-ს.-დ. პარტიას ჩვენთვის შეუფერებელი მოძღვრება ჩამოგლიჯეს, ჩვენი ქვეყნისა და ხალხისთვის შეუგუებელი ზღაპრები გადმონერგეს და, თუ ნიადაგი მოიპოვეს, მხოლოდ იმის წყალობით, რომ დრო იხელთეს და ხალხი მოტყუებით მიიკედლეს—ეს მონა, ჩამონაგლეჯი, მახინჯი დასელები კვლავ განაგრძობენ განგაშს.

გაუზეპირებიათ — „შავრაზმელები", „მამულიშვილები"—ამ ულირს შვილებს ჩვენი ქვეყნისა და მახინჯი სულისანი, მწიკვლით სავსე გულისანი პროვოკატულ განგაშს არ ერიდებიან, გესლიან ბოღმას ანთხევენ ჩვენ მიმართ.

რა მოხდა კიდევ ახალი, რამ გამოიწვია „მერცხლის" წრიპინი—„კიდევ შავრაზმული განგაში".

უპირველესად გული ეწვით ბანკის განცხადებაზე, რაღაც „დაბეგვრაზე" მეტყველებენ.

ბანკის განცხადება—ეს ბანკის მართველთა საქმეა... ხოლო „დაბეგვრაზე" ვსდუმდეთ, სჯობია.

ვინც დაბეგრა და დღესაც ბეგრავს ისეც დაბეგრულ ხალხს, ეს მემატიანეს საქმე იქნება თავის დროზე, აქაც ვსდუმდეთ, თუ ჭკუაში დაგიჯდებათ...

ვინ დადიანის დეპუტატია და რა ბრალდება! ამ დადიანის საქმეში დეპუტატობა და ვექილობა ერთ თქვენგანს მოკითხეთ... განა ნამდვილი ბრალდებულისაგან მოტანილ ბრალდებაზე პასუხს აძლევენ?! არც მოსვრილ, ჭუჭყიან ხელთათმანს კიდებენ ხელს!

„ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ" მა გაგაბრაზათ, არ გეჭაშნიკათ!

პროტესტები კიდევ გქონიათ?... საბრალონო!

გვეგონა, გაუქმდა ის ქარხანა, სადაც ეს პროტესტები ითხზვებოდა და ეს „ჯვარს აცვ, ჯვარს აც-ვ" რეზიუმე იქნებოდა მათი.

თურმე კვლავ სავსე გქონიათ უჯრები!

მაშ ააჭრიალეთ კვლავ მოცვეთილი ჩარხი და კვლავ იქნება დასკვნა მათი და დაფასებაც, თუმცა მათი ფასი და ღირებულობა ვუწყოდით, ვუწყით.

აქ ძალ-უნებლიეთ ბევრი ცხარე სიტყვა ვსთქვი და აღარ ვახსენებ იმ ადამიანის სახეს, ვის საფლავის წინ ჩვენ დიახაც პირჯვარს ვიწერთ.

ვაი, თქვენდა, რომ თქვენის მეოხებით სახელი იმ ადამიანისა ულირსი, მახინჯი სულდგმულის სახელთან ერთად იხსენიება!.. **დ.**

## წერილი რედაქციისადმი.

ბ. რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ თქვენს გაზეთში ადგილი მისცეთ ამ პატარა შენიშვნას:

წინათაც და, განსაკუთრებით, ახლა, როცა ბეილისის საქმე ირჩეოდა, ბევრი შემეკითხა: რამდენათ მართალია ის ხმა, რომ ვითომ განსვენებულმა იმერეთის ეპისკოპოზმა გაბრიელმა (ბაძა ჩემმა) მისაყვედურა და ყოველივე კავშირი გასწყვიტა ჩემთან მისთვის, რომ მე მივიღე მონაწილეობა საჩხერელ ებრაელთა დაცვაში, როდესაც მათ აბრალებდენ სარა მოდებაძის მკვლელობას რელიგიური მიზნით. გუშინაც მივიღე წერილი ერთი პატივცემული სასულიერო პირისგან, რომელიც წინადადებას მაძლევს გამოვაქვეყნო, რამდენათ მართალია ეს ხმა.

ვასრულებ პატივცემული მოძღვრის სურვილს დიდის კმაყოფილებით: არაოდეს ღვთივ-განსვენებულ გაბრიელს არავითარი საყვედური არ უთქვამს ჩემთვის, რო მონაწილეობას ვიღებდი სარა მოდებაძის საქმეში ებრაელების დასაცველათ და არაოდეს კეთილ განწყობილება მისი ემდამი არა თუ არ შეწყეტილა, არც შესუსტებულა. დანამდვილებით ვიცი, —განსვენებული გაბრიელი არ იზიარებდა იმ აზრს, რომ ვითომ ებრაელთა სარწმუნოება ქრისტიანის სისხლს მოითხოვდეს რაიმე საჭიროებისთვის. პირიქით ვიცი, რომ განსვენებული, როცა ქუთაისში ებრაელთა წინააღმდეგ მოძრაობა იყო, ძალიან სწუხდა და ამბობდა: ძნელია უმეცრება, რას ერჩიან საწყალ ხალხს, რათა სდებენ ამ საშინელ ბრალს.

**მოსე ქიქოძე**

ქ. ქუთაისი, 1 ნოემბერი 1913 წ.

## დეპეშა.

(პეტ. დეპ. სააგ.).

### უცხოეთი.

**პარიზი.** კოკოვცოვი ბერლინში გავლით პეტერბურგს მიდის. გაზეთმა „მატენმა" გამოაქვეყნა თანამშრომელთან გამოთქმული კოკოვცოვის აზრი. კოკოვცოვს უთქვამს:—აქ მე ძლიერ კარგათ შემხვდენ. მქონდა მოლაპარაკება გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეებთან. სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენს შორის ყველა საკითხში თანხმობაა. უკეთესი დამოკიდებულება საფრანგეთ-რუსეთს შორის არაოდეს არ ყოფილაო. მეორე გაზეთის თანამშრომლისთვის კოკოვცოვს საბერძნეთ-ოსმალეთის შეთანხმების გამო თავისი კმაყოფილება გაუცხადებია. „მატენი" სწერს:—საფრანგეთსა და რუსეთს შორის არათუ უთანხმოება არსებობს, არამედ მათ შორის მცირე აზიის საქმეთა შესახებ მეგობრული მოლაპარაკებაა გამართულიო.

ტეხნიკურისა და ფინანსიური საკითხების შესახებ მოსალაპარაკებლათ ბერლინს წავიდა ორი ფრანგი დელეგატი.

სენატმა მიიწონა აზრი, რომ სამთო სამრეწველოებში შემოღებულ იქნას რვა საათის სამუშაო დღე.

**სტამბოლი.** პრესა საბერძნეთ-ოსმალეთის შეთანხმებას იუმედოთ მიეგება. გაზეთი „ტანინი" სწერს:—ოსმალეთთან ახალი ხელშეკრულობის ძალით ბერძნებმა ახალს შემოერთებულ ადგილებში მამადიანები არ უნდა სდევნონო.

**ლონდონი.** ციხიდან გათავისუფლებული დუბლინის მუშათა ბელადი თხოულობს გაფიცვის გაგძელებას. გაფიცვის სასარგებლოთ სალაპარაკოთ ის მიდის დუბლინს. ინგლისის მუშათა ზოგიერთი ჯგუფი გაფიცვის გაგძელების წინააღმდეგია.

სასამართლოში სუფრაჟისტი ქალის პის საქმის გარჩევას დაესწრენ სხვა სუფრაჟისტი ქალებიც. სუფრაჟისტმა ქალებმა სასამართლოს წევრთ, რაც ხელთ მოხვდათ ყველაფერი ესროლეს. დალეწეს ფანჯრები. ხუთი სუფრაჟისტი ქალი დააპატიმრეს.

**ბელგრადი.** ამ დღეებში დაიწყეს მუშაობას სერბია-მთაშავეთის შერეული კომისია სავაჭრო და სარკინიგზო საქმეების შესახებ.

**ვენა.** ვენაში [illegible] ტალურ პარტიათა თათბირმა მოითხოვა, რომ მთავრობამ შეიმუშაოს ავსტრიის ზოგიერთ ნაწილში რკინის გზების გაყვანის შესახებ პროექტი. ამ მოთხოვნათა შესახებ მინისტრ პრეზიდენტმა განაცხადა:—მთავრობა ფინანსიური მდგომარეობის მხრით არ არის კარგ მდგომარეობაში და ამის გამო ადგილობრივათ რკინის გზების გაყვანის პროექტს ვერ წარადგენს პალატაში. ბოსნიაში რკინის გზების გაყვანის პროექტს სამშაბათს შევიტანო პალატაში.

**ბუდაპეშტი.** დეპუტატთა პალატაში პრეზიდენტმა ბოსნიაში რკინის გზის გაყვანის პროექტი შეიტანა.

**ბელგრადი.** პრესბიურო იტყობინება: —პაშიჩმა, რომ სახელმწიფო საბჭოს თავჯდომარეობას თავი დაანება, ამას არავითარი დამოკიდებულება არ აქვს მის პრეზიდენტობასთანო. პაშიჩმა ამ თანამდებობას თავი დაანება ხნოვანობის გამოო.

**სტოკჰოლმი.** უეცრათ გადაიცვალა მეორე პალატის თავჯდომარე.

### რუსეთი.

**პეტერბურგი.** პრესის შესახებ კანონპროექტის შემამუშავებელ კომისიას კრება ქონდა. კრებას დაესწრო იუსტიციის მინისტრი, შინაურ საქმეთა მინისტრის ამხანაგი, პრესის შესახებ უმთავრესი სამართველოს უფროსი და სხვა. დაიწყეს კანონპროექტის მუხლობრივი კითხვა. მსჯელობენ მთავრობის პროექტზე. მცირე ცვლილების მოხდენით პროექტი მიიღეს. კანონპროექტის მე-40 მუხლი უმნიშვნელო ცვლილების შეტანით მოიწონეს. ეს მუხლი ეხება პერიოდულ გამოცემებს. გადასწყვიტეს კანონპროექტის 41 მუხლი შესცვალონ. პროექტის 43 მუხლი ეხება რედაკტორის პასუხისმგებლობას. დროული გამოცემის გამოშვება შეიძლება მხოლოდ რედაკტორის პირადი პასუხისმგებლობითო. კომისიამ ბევრი იმსჯელა იმის შესახებ, თუ როგორ გაიგონ პროექტის ეს მუხლი. ილაპარაკა ბენიგსენმა, ბარაჩმა და ალექსეევმა. პირველის აზრით პროექტის ეს მუხლი თხოულობს, რომ გამოცემას ყავდეს პასუხისმგებელი რედაკტორი. უკანასკნელთა აზრით ამ მუხლის ძალით გამოცემის დროს პასუხისმგებელი რედაკტორი აუცილებლათ უნდა იყოს სტამბაში. ამ საგანზე მსჯელობაში მონაწილეობა მიიღეს მაკლაკოვმა, იუსტიციის მინისტრმა და სხვებმა. პროექტის 45 მუხლმაც გამოიწვია კამათი. ეს მუხლი ეხება რედაკტორის ცენზს. რედაკტორი უნდა იყვეს 25 წლის. უნდა ქონდეს აგრეთვე მიღებული

---

ურთიერთობა, ან შეთანხმება, რომელიც დაამყარეს ბურჟუა გერმანელებმა და ჩეხებმა, ასჯერ უკეთესია, უკეთ სჭრის ეროვნულ საკითხს, ვიდრე ეროვნულ კულტურული ავტონომია „ნარიძისა" და მისთა ძმათა, რადგან ხსენებული შეთანხმება ეხება არა მარტო საშკოლოს, არამედ საპოლიტიკოს, ადმინისტრაციულს, სამოსამართლოსა და სხვა შინაურ საკითხებსაც.

დიახ! მორავიის ბურჟუები უკეთ სჭრიან, ვიდრე ჩვენი „ესდეკნი", ეროვნულ საკითხს!

მაგრამ კეთილ ინებოს და გვიპასუხოს ბ. „ნარიძემ": თუ, როგორც ის ბძანებს, ბურჟუაზიულ წესწყობილებაში არ შეიძლება ეროვნული საკითხის გადაწყვეტა, მაშ როდის-ღა შეიძლება? სოციალიზმის დროს?!—კაი ნუგეში კია, თქვენმა მზემ! მაშ მანამდი ნურაფრის იმედი ნუ გვექნება?! და დავსჯერდეთ თქვენს უტოპიას, რაღაც ეროვნულ-კულტურულ ავტონომიას, რომლის შესახებაც თქვენვე ბძანებთ, რომ ეს არათუ არ არის სრული გადაჭრა ამ საკითხისა, არამედ იმიტომ არის მოგონილი, რომ მისმა განხორციელებამ ჩამოაცალოს ბრძოლას კეთილშობილი ხასიათიო!

არა, ბატონებო! ჩვენი იდეალია ეროვნული ბრძოლის სრული მოსპობა, რომ ეს არაკეთილშობილი ბრძოლა შეიცვალოს კეთილშობილ თანამშრომლობათ ერთა შორის.

ამის მაგალითებს უკვე ვხედავთ მორავიაში, შვეიცარიაში, ბელგიაში, კანადაში და დავინახავთ მალე ირლანდიაში ᲓᲐ სხვა ქვეყნებშიც.

მორავიის გერმანელთა და ჩეხთა მაგალითი ერთი მარით არის კიდევ საგულისხმო. რადგან მარტო ორი ერი ცხოვრობს პატარა პოლიტიკურ მოედანზე, შესაძლებელი შეიქნა ეროვნული შეთანხმება.

„ესდეკები" და მათ შორის ბ. „ნარიძე" ამბობენ: ტერიტორიალურ-ეროვნული ავტონომია ვერა სჭრის ეროვნულ საკითხს, რადგან თითოეულ პატარა მოედანზეც რამდენიმე ერი ცხოვრობს და ეროვნული ბრძოლა აქაც იქნებაო.

მაგრამ ეს პასუხი კი არა, სიტყვის ბანზე აგდებაა. მათ ეკითხებიან, როდის უკეთ გადასწყდება ეროვნული საკითხი? როდესაც დიდი სახელმწიფო, რომელიც შეიცავს ბევრ ერს, ცენტრალისტურათ არის მოწყობილი, თუ როდესაც დანაწილებულია ავტონომიურ მოედნებათ? ისინი კი გვეუბნებიან: ეს სულ ერთია, რადგან ეროვნული ბრძოლა ორსავე შემთხვევაში იქნებაო. მაგრამ სად უფრო ადვილია ამ ბრძოლის მოსპობა და ეროვნული შეთანხმება? იქ, სადაც იბრძვის ასი ერი, თუ იქ, სადაც იბრძვის ორი ან სამი ერი? ამ კითხვას განგებ გაურბიან, რადგან შეუძლებელია ორი პასუხი: იქ, სადაც მხოლოდ ორი ან სამი ერი ცხოვრობს, უფრო მარტივია, უფრო ადვილი გადასაწყვეტია საკითხი, შესაძლებელია შეთანხმება.

შესაძლებელია, მაგალითად, მოეწყოს იმგვარი ორგანყოფილებიანი ან სამგანყოფილებიანი მართებლობა, როგორიც არის მორავიაში.

ამას გარდა მრავალერიან სახელმწიფოში არც ერთი ერის საქმე არ გადასწყდება ისე, თუ არ გადასწყდა ყველა ერის საქმე ერთად. ეს კი შეუძლებელია, რადგან დამოკიდებულება ერთა შორის უფრო რთულია.

დიახ! ცხადია, რომ შეუძლებელია მაგალითად, რუსეთში ასგანყოფილებიანი სამოსწავლო მართებლობა ასი ერისათვის.

შეუძლებელია აგრეთვე ეროვნული შეთანხმება, განსაზღვრა სხვადასხვა ეროვნული ინტერესისა.

და პატარა ავტონომიურ მოედანზე კი, სადაც ცოტაა ერი, ყველაფერი ეს შესაძლებელია, როგორც მოწმობს მორავიის მაგალითი.

ამგვარათ დიდს, მრავალერიან სახელმწიფოში შეუძლებელია კონსტიტუციონალური წესწყობილება ისე, თუ ავტონომიებათ არ იქნა დანაწილებული.

ამასთანავე ისიც ცხადი უნდა იყოს, რომ რაც უფრო ცოტა ერი ცხოვრობს ერთად ერთს ავტონომიურ მოედანზე, მით უფრო ადვილია შეთანხმება. და იდეალი ხომ ის არის, როდესაც ერთს ტერიტორიაზე ერთი ერი იმდენათ სჭარბობს სხვა ეროვნულ ელემენტებს, რომ იქ ლაპარაკიც კი არ შეიძლება ეროვნულ ბრძოლაზე.

მაშასადამე, დიდი და ჭრელი სახელმწიფო უნდა იქნას დანაწილებული ისეთ პატარ-პატარა ავტონომიურ მოედნებათ, რომ თითოეულ მოედანზე, რაც შეიძლება, უფრო ერთგვარი იყოს ეროვნული ელემენტი. და, თუ ეს არ არის შესაძლებელი, ორ ან სემ ერზე მეტი მაინც არ ცხოვრობდეს.

ამას ეწოდება ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომია. ვინც აღიარებს ამ პრინციპს, ის ცდილობს, მაშასადამე, ბოლო მოუღოს ეროვნულ განხეთქილებას, ვინც არა,—ის მხოლოდ იმას ცდილობს, რომ ეროვნულ ბრძოლას ჩამოაშოროს „კეთილშობილი ხასიათი", ე. ი. რომ ეროვნული ბრძოლა შეიქნეს კიდევ უფრო ტლანქი, არაკეთილშობილი!

ამას ქადაგებს ბ. „ნარიძე".

ბ. „ნარიძემ" მთლად გაამრუდა შპრინგერის თეორია. შპინგერი სავსებით არ უარყოფს ეროვნულ ტერიტორიალურ ავტონომიას. ის ამბობს: ერსაც ისე სჭირდება ტერიტორია, როგორც სახელმწიფოსო; რადგან ტერიტორიის შემაკავშირებელი, შემაერთებელი მნიშვნელობა აქვსო. და, სადაც კი ერთი ერი ცხოვრობს ერთ ტერიტორიაზე, იქ ეროვნულტერიტორიალური ავტონომია უნდა დაწესდეო. მხოლოდ ამ ავტონომიას, მისი ფიქრით, ძლიერ პატარა მოედანი უნდა საზღვრავდეს.

ამას გარდა აი რას ამბობს შპინგერი ცხრა მეათედი ადმინისტრაციული ოლქებისა ავსტრიაში იმისთანა ავტონომიური ერთეულებისაგან იქნება შემდგარი, რომ თითოეულს ამგვარ ავტონომიურ ტერიტორიაზე ერთი ენაზე მოლაპარაკე ერთან შერარებით უმნიშვნელო იქნება სხვა ეროვნული ელემენტი. თითოეულ ამგვარ მოედანზე განხორციელდება ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომია. ე. ი. აქ პერსონალური პრინციპი დაუთმობს ადგილს ეროვნულ-ტერიტორიალურს. შერეულ ოლქებში კი მოქალაქენი განაწილებული იქმნებიან ეროვნულ ჯგუფებათ." (იხ. შპინგერი: „ნაციონალური პრობლემა. რუსული თერგმანი. 1909 წ. გვ. 53). და ერთი ვკითხოთ ბ. „ნარიძეს", რაღა დარჩება შემი, უმიწო ეროვნული ავტონომიისაგან, თუ კი ოლქთა ცხრა მეათედი ეროვნულ ტერიტორიალური ავტონომიებისაგან იქნება შემდგარი და ერთი მეათედი შერეული ავტონომიებისაგან, რომელთა შორისაც თითოეულში იქნება ორ ან სამ განყოფილებიანი მთავრობა და პროპორციული განაწილება მართვა-გამგეობისა?! ვისღა დასჭირდება მაშინ ეროვნულ კულტურული ავტონომია?

ეროვნული, ან, უკეთ ვსთქვათ, ეროვნულ-კულტურული ავტონომია, რომელსაც არაფერი დამოკიდებულება არ აქვს მიწასთან, საჭიროა მხოლოდ ებრაელებისათვის. და, ცხადია უნდა დაკმაყოფილდეს ამ მრავალ ტანჯული ერის სამართლიანი მოთხოვნა: ყოველ ერს აქვს თავისი ტერიტორია; არ აქვს მარტო ისრაილის შვილს: (ხსენებული ფაქტები ამოვიღე მორავიის ლანდტაგის წევრის დოქ. ალფრედ ფიშელის წერილიდან. იხ. „ფორმები ეროვნული მოძრაობისა")

ნესტარი

(გაგძელება იქნება).

სავაჭრო სახლი
ი. გოკიელის შვ—ბის
ქუთაისში.

ერთად ერთი წარმომადგენელი მთელ ამიერ კავკასიის ცნობილ აბრეშუმის ჭიის თესლის
ხ. ხრისტოდულიდის
ამით აცნობებს პატივცემულ მეაბრეშუმეებსა და თესლის გამყიდველებს, რომ ვინც ახლავე პირველ კრისტეშოპ...
თესლს არა ნაკლებ ერთ ყუთსა, რომელშიც 200 კოლოფი ექვს მისხლიანი.
მათ დაეთმობა კოლოფი 1 მ. 70...
ყუთზე 40 მანეთი, დანარჩენი ფული, როდესაც თესლს წაიღებენ. შეკვეთა თესლისა მიიღება უმთავრეს საწყობში ქუთაისში თავის სავაჭროში, მიხაილოვის ქუჩაზე. ფარსანაყანევისათვის, შვანთვისთვის, ქვიტირისთვის, მაღლაკისთვის, პატრიკეთისთვის, საყულიასათვის, სვირისთვისა და წყალტუბოსათვის აგენტათ გამყიდველებისათვის დანიშნულია ლევანტი ქქთამეს მე ნუცუბიძე, რომელიც ცხოვრობს ფარცხანაყანევში იარმუკაში.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობის და შპალიერის ქ. ქუთაისში.
ფ. ს. ფილიპოვისა.
ალექსანდრეს ქუჩაზე,
მოიპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი სათვალსო სამკაული: ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი „ლინოლიუმი“, სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი ძვირფასი სათვალსო ნივთი, აუარებელი ასარჩევი ნიმუში, შპალერის თოფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშეა.
პატივისცემით ფ. ს. ფილიპოვი. № 10.

საშვალო სწავლა. რედაკტორობა შეუძლია რუსეთის ქვეშევრდომს. იუსტიციის მინისტრმა და ალექსეევმა განაცხადა—რედაქტორს ენიჭება პოლიტიკური უფლება და ეს უფლება უცხოეთის ქვეშევრდომს არ შეიძლება მიენიჭოსო. მილიუკოვმა სთქვა:—პროექტის ამ მუხლში პოლიტიკურ უფლებაზე არ არის მსჯელობა. პურიშკევიჩმა მოითხოვა, რომ რედაქტორათ აუცილებლათ რუსეთის ქვეშევრდომი იყვეს. მანვე აღნიშნა ზოგიერთ შემთხვევაში უცხოეთის ჟურნალისტები გაცილებით მაღლა სდგანან რუს ჟურნალისტებზეო. მილიუკოვმა შედარება გააკეთა რუსეთისა და უცხოეთის პრესის შორის. პურიშკევიჩის საპასუხოთ სთქვა:—უცხოეთის პრესას ნორმალურ პირობებში უხდება მუშაობა. იქ პრესა ერთობ გაიტაცა მოგების სურვილმა. ამიტომ არა იშვიათია იქ პრესის მოსყიდვა. რუსეთის პრესას სულ სხვა პირობებში უხდება არსებობა, და მიუხედავათ ამისა, თავის მოვალეობას მაინც პირნათლად ასრულებსო.

სავალდებულოთ გახადეს, რომ რედაქტორი რუსეთის ქვეშევრდომი იყვეს. ეს გადასწყდა 12 ხმით წინააღმდეგ 9 ხმისა. გადასწყვიტეს რედაქტორის ხნოვანება 25 წელზე ნაკლები არ იყოს. პრესის საქმეთა სამართველოს უფროსმა მოითხოვა რედაქტორს განათლების ცენზი მოეთხოვოსო. მას მხარი დაუჭირა ალექსეევმა. განათლების ცენზის წინააღმდეგ ილაპარაკეს აქიმმა გერასიმოვმა, ბროძინსკიმ, სკობელევმა და მილიუკოვმა. 12 ხმით წინაღმდეგ 10 გადასწყდა, რომ რედაქტორს განათლების ცენზი მოეთხოვოს.

ადეს. სუვოროვის ძეგლის კურთხევაზე დასასწრებლათ რუმინიაში წავიდა სამხედრო დეპუტაცია. სუვოროვის ძეგლს 6 ნოემბერს აკურთხებენ.

პეტერბურგი. სამოსწავლო სემინარიის მოწაფეებს ნება მისცეს სამხედრო ბეგარა ერთ წელს შემდეგ მო ხადონ.

სტატისტიკური კომიტეტის ცნობით 73 გუბერნიაში პურის მოსავალი კარგი ყოფილა.

## რუსეთი.

**განხეთქილება ს. დემ. ფრაქციაში.**

პეტერბურგში მოხდა კრება სათათბიროს სოც. დემოკრატიული ფრაქციისა. კრებაზე რვა მეუმცირესეთა დეპუტატმა მისცა მეუმრავლესეთა თავის ექვს ამხანაგს საბოლოო გადაწყვეტილი პასუხი იმ ულტიმატუმის შესახებ, რომელიც წამოაყენეს — უკანასკნელებმა — გადაეწყვიტათ ესა თუ ის საკითხი ფრაქციაში შეთანხმებით და არა ხმის მიცემით. თავის პასუხში მეუმცირესენი აღნიშვნენ, რომ ყველა ის მიზეზი, რომელმაც ხელი შეუწყო მეუმრავლესეთ წამოეყენებიათ ასეთი ულტიმატუმი, არ ეთანხმება ჭეშმარიტებას და პრინციპიალურათ მისაღები არაა. თავისი ორატორების ადგილის შესახებ მეუმცირესენი ამბობენ, რომ სოც. დემ. ფრაქცია 4-ე სათათბიროში, როგორც წინათაც არაოდეს არ სარგებლობდა თავისი უმეტესობით. ორატორების გამოსვლის დროს ყოველთვის მხედველობაში ქონდათ, თუ რომელი ორატორი უფრო კარგათ შეასრულებდა დაკისრებულ საქმესა და უფრო მტკიცეთ დაიცავდა პროლეტარიატის ინტერესს სათათბიროს ტრიბუნიდან. რაც შეეხება სათათბიროს კომისიებში ფრაქციის წევრის გაყვანას, ეს მათი აზრით, თავისი წევრის დატვირთვა და საპასუხისმგებლო ვალდებულების დაკისრებაა და არა რაიმე პრივილეგიის მინიჭება და ამიტომაც ფრაქცია ყოველთვის ცდილობდა ასეთი ვალდებულება დაეკისრებია თავისი უფრო ნიჭიერი და გამოჩენილი წევრისთვის. რაც შეეხება იაგელოს მიღებას ფრაქციაში მეუმცირესეთა უპასუხეს, რომ პოლშის სოციალიზმის [მ]იმდინარეობას, რომლის წარმომადგენელიც იაგელო იყო, აქვს მარქსის პროგრამა და ეკუთნის მუშათა ინტერნაციონალურ პარტიას და რომ მისი კანდიდატურა წამოაყენეს არა მარტო პოლშის სოციალისტებმა, არამედ ბუნდმაც და თვით [რუსეთის] სოციალდემოკრატიის ნაწილმაც. შემდეგ აღნიშვნენ—მთელი წლის ფრაქციის მუშაობის გამოცდილობამ დაამტკიცა შესაძლებლობა შეერთებული მუშაობისა. დასასრულ მეუმცირესენი მოუწოდებენ მეუმრავლესეთ თანახმათ საერთაშორისო სოც. დემ. პრინციპებისა და მათდამი მიცემული ნაკაზებისა განაგრძონ ერთად მუშაობა ისე, როგორც დღემდი, და როგორც ეს მიღებული მთელის ქვეყნის პარლამენტთა ფრაქციათა შორის.

მეუმრავლესეთ ამ განცხადებას შემდეგ მოახდინეს კერძო თათბირი, რომლის შემდეგაც მალინოვსკიმ განაცხადა: რადგანაც მეუმცირესენი კატეგორიულათ უარს ამბობენ ჩვენს მოთხოვნაზე, ისინი ჯერჯერობით ვერავითარ დასკვნას ვერ გამოიტანენ ამ კითხვის შესახებ, კრებას სტოვებენ.

## თეატრი და ხელოვნება.

**კულტურული მკვლელობა.**

**შაბათი, 2 ნოემბერი.**

თუმცა 35 წლის ოლხინი მემამულე და 20 წლის ნადია ერთად ცხოვრობენ, მაგრამ მაინც ეს უკანასკნელი „მარტოობას“ გრძნობს, რადგან ოლხინმა ვერ შესძლო მასზე სიყვარული აღეგრძნო და ამიტომ „იძულებულია“ „მოსიკს“ ჩამოეკიდოს კისერზე ჯერ „არა ლეგალურათ“, სანამ ქმარი შემოესწრებოდეს, შემდეგ კი „ლეგალურათ“. ღმერთო ჩემო, რა გაცვეთილი ტემაა, რა „მოშერებული“ სიტყვებია, უცქერით და რომელიმე ნახული პიესიდან გაგონდება ადგილები, გესმის სიტყვები, რომელიც არა ერთხელ გსმენია, წრევანდელი რეპერტუარი ისედაც არ იყო დამაკმაყოფილებელი და „კულტურულმა მკვლელობამ“ ხომ სავსებით დააგვირგვინა საქმე. საკვირველია ღმერთმანი ჩვენი მთარგმნელებისა, რეჟისორებისა და დრამატიული გამგეობის საქმე, რა აიძულებთ გადათარგმნონ და დასდგან ასეთი უშინაარსო პიესები? წარმოიდგინეთ პიესა ისე „არც ხელოვნურათაა“ დაწერილი, რომ იგი არათუ მსახიობის ნიჭს ფრთებს ფართოდ არ აშლევინებს, პირიქით ნიჭის მკვლელობას გზას ულობავს და ფრთებს აკვეცს. მაგალითად მთავარი გმირი პიესისა ოლხინია, მის „სულიერ ტრაგიზმზეა“ აგებული პიესა, ცხადია აქ მესხიშვილი ნიჭი მთელი თავისი ძლევა-მოსილებით უნდა გვევლინებოდეს, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ 2 ნოემბერს ამის მზგავსი არა ყოფილა, ასე სუსტათ მოთამაშე მესხიშვილი ჯერ ჩვენ არ გვინახავს, რადგან სუსტათაა დაწერილი თვით პიესა და ოლხინის როლიც. წარამარა უადგილო წუწუნი ტრაგედია არაა, იგი სიბრალულს გამოიწვევს, როგორც ყველა სულით ავთმყოფი, მაგრამ ღრმათ ვერ გაიდგამს ფესვებს ადამიანის არსებაში, ღრმა კვალს ვერ დასტოვებს შთაბეჭდილებით და ვერ შეიძლებს, რომ „მისი წყლული გვაჩნდეს წყლულათ, გვეწოდეს მისი ტანჯვით გული“ ბევრი უადგილოა და შეუსაბამო სცენაა, მეორე აქტი მაინც განსაკუთრებით სულ არ იყო საჭირო, რისთვისაა იგი დაწერილი არ ვუწყით, განა იმისთვის, რომ ავტორმა დაგვანახოს თუ დივანზე გაშოლტილი ნადია თავისი „ზმორებით“ როგორ აღანთებს ვნების ცეცხლს „მოსიკში“? კი მაგრამ ჩვენ მოსიკ-შალიკაშვილში ვერც ვნებათა ტალღების მძლეთა-მძლეობა ვიხილეთ და ვერც სხვა რამ, შევნიშნეთ მხოლოდ პიესის ავტორის ცდა, რომ ამგვარი „ეფექტებით“ ფონს გავიდეს. ყოველმხრივ სუსტი იყო პიესა და სუსტი იყო თამაშიც, რამეთუ „არარაისგან არ იქნების არარაიცა“, რადგან ავტორის „უშემოქმედო შემოქმედებას“ მარტოოდენ მსახიობთა ნიჭი ვერ გახდის შინაარსიანს. აღსანიშნავი იყო ბ-ნი შანშიაშვილი თავისი ტრაგიკული კილოთი სასამართლოს ბიქაულისა და ასათიანის ასული თავისი პათოსებით მოსამსახურე ქალის როლში. ქ-ნმა პერეტამ გვაჩვენა, რომ მას აქვს თავისი ამპლუა, შეუძლია თამაში, მხოლოდ არა ასეთ უშინაარსო პიესაში, სადაც ყოველგვარი თამაში მკრთალია. დანარჩენნი „ანსამბლს“ ხელს უწყობდენ. ი—ი.

## წერილი რედაქციის მიმართ.

**ბატონო რედაქტორო!**

„სახალხო გაზეთის“ 1026-ე ნუმერში მოთავსებულია წერილი გ-ნისა, რომელშიც იგი უსაყვედურებს ქუთ. დრამატ. საზოგ. გამგეობას, ვითომ მას (გამგეობის) ხელი შეეშალოს ბ. კ. ფოცხვერაშვილის კონცერტისთვის: ა. ვითომ გამგეობას დაპირებული 50 მ. მაგიერ გამოერთვას 75 მ; ბ. დაეჭიროს ორკესტრში 20 ადგილი და გ. ერთი ლოჟა დაეთმოს უცნობისთვის.

ამაზე ბ. გ-ნს მოვახსენებთ: პ. ბ. კ. ფოცხვერაშვილის პატივის-ცემისთვის გამგეობამ კვირას მოხსნა მორიგი წარმოდგენა და გამართა ისეთ დროს რომ მისთვის საზარალო იყო; ბ. კ. ფოცხვერაშვილი გამგეობას სამი კონცერტის გამართვას დაპირდა და 150 მანეთს, ნამდვილათ კი გამართა ორი და გამგეობას მისცა 125 მ; გ. ორკესტრის ოც ადგილს გამგეობა ასეთ შემთხვევაში უთმობს მსახიობთ და თეატრთან ახლო მგომ პირთ; დ. რაც შეეხება იმ „უცნობ“ პირს, შეიძლება, იგი ბ. გ-ნისათვის იყოს უცნობი, ხოლო გამგეობა მას კარგათ იცნობს და ამიტომ ეს ლოჟა დიდი ხანია, მას დათმობილი აქვს და ამის გამო გამგეობისათვის არავის პრეტენზია არ გაუცხადებია.

ბ. გ-ნი, როგორც თითონ სწერს, საღამოს შემთხვევით დასწრებია, და ერთი კალმის მოსმით, საქმის გაუგებლათ, გამგეობის ცილის წამებას უნდა მორიდებოდა.

**ქუთაისის ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა.**

რედაქ.-გამომცემელი **გ. ზრეგაძე.**

## გამოცდილი მასწავლებელი,

ნაფიცი ვექილის თანაშემწე

ამზადებს და ამეორებიებს საშვალო სასწავლებლის მოწაფეებს (და ყველა მსურველსაც) ქართულსა და რუსულ ენებს, ლიტერატურასა და ისტორიას.

აქვე შეიძლება მიღება რჩევა-დარიგებისა

სამოსამართლო საქმეების შესახებ.

მოსწავლენი მიიღებიან ნაშვადღევის 5—6 საათამდი, კლიენტები-კი—საღამოს 6—7 საათამდი. კათოლიკეს ქუჩა სახლი ხოჯევანოვისა, ბინა ი. თ. ცინცაძისა.

## კ. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში

მიღებულია შემდეგი ახალი წიგნები.

| | | |
|---|---|---|
| 1. | თ. ჟორდანია, ქართული ენისთვის ბრძოლა . . | ფ. ერთი აბაზი |
| 2. | ალ. ჭიჭინაძე მცენარეები და ცხოველები ცხელი ქვეყნებისა. . . . . . . . | ფ. შვიდი შაური |
| 3. | გ. ხერხეულიძე, საქართველოს გმირი (გიორგი სააკაძე) . | ფ. ორი აბაზი |
| 4. | უცხო სიტყვათა ლექსიკონი . . . . | ფ. ერთი აბაზი |
| 5. | გ. ერისთავის რჩეული თხზულებანი—საკლასოთ სახელმძღვანელო წიგნი I . . . . | ფ. სამი აბაზი |
| 6. | Кипшидзе. Зак. о прекращ. вр. обяз. отнош. крест. къ помѣщикамъ . . . . | ц. 30 к. |
| 7. | Ильинъ. Поѣздка въ Сванетію . . . . | ц. 1 р. 25 к. |
| 8. | Кульманъ. Методика русскаго языка . . . | ц. 1 р. 30 к. |
| 9. | Дитмаръ. Курсъ географіи Россіи . . . | ц. — 60 к. |
| 10. | Обуховъ. Какъ вести занятія съ нѣсколькими отдѣленіями . . . . . . | ц. 1 р. 10 к. |
| 11. | Ницше. Автобіографія (Ecce homo) . . . . | ц. 1 р. — |

## გ. გორდამისა და ს. წერეთლის

ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომისა და სოხუმის ოლქში უმაღლესა სასახლის გოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეხავ-მალცევის ბემსკის მინების ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „БЕМСКОЕ“

რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:

საუკეთესო ქარხნებისგან

მიღებული რკინეული

საქონელი: კარის, ფანჯრის და ღუმელის მოწყობილობანი; სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი, ელექტრონის ზარის მოწყობილობა, შპალიერი, ცემენტი, ემალიანი ჭურჭელი, ასფალტი და სხ.

ვაჭრობა პარტიათა და წვრილათ ხელმისაწვდომ ფასათ.

ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65

ხრესილი.

სამკურნალო

აბანო

ძვირფასი მთის ჰაერზე

ძმ. ყორყოლაძეების

ექიმის თვალყური და მომსახურებით.

შემოწმებულია და გამოირკვა, რომ ეს მადნეული წყალი კურნავს სხვადასხვა სენისაგან, როგორც არის: ქარები (რევმატიზმები) კუჭისა და თავის ტკივილი, ნერვების სისუსტე და სხვ. წყალი ცივი და თფილიც. აქვეა სუფთა ბინა და სასმელსაჭმელი, აბანო მუდმივ განაგრძობს მუშაობას. ხრესილის სადგურიდან დაშორებულია ორმოცდაათი საჟენის მანძილზე.

სააქციონერო საზოგადოება

„ს.-პეტერბურგის ქიმიური ლაბორატორია“

იზმაილოვის პროსპ. № 27.

პარიზი 1900 ოქროს მედლები ნიჟ. ნოვგ. 1886.

## გლიცერინა პელურ

საშვალება მზე-დაკრული ფერის, ჭორფლის, სიწითლისა და მუწუკების გასაქრობათ.




საზოგადოება „ს.-პეტერბურგის ქიმიური ლაბორატორია“ სიყალბის მრავალჯერ განმეორების გამო. სთხოვს საზოგადოებას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ფირმის სახელწოდებას: „ს. პეტერბურგის ქიმიური ლაბორატორია“ და ფირმის ნიშანს: იმპერატორი პეტრე დიდის ძეგლს სენატის მოედანზე ს. პეტერბურგში. იყიდება ამიერ კავკასიის ყველა აფთიაქის მაღაზიასა და აფთიაქში.